# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია

29 ნოემბერს მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში, მუშაობა დაიწყო სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეათე სესიამ.

დილის 10 საათზე გაიხსნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს პირველი გაერთიანებული სხდომა.

დეპუტატები და სტუმრები მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ი. ვ. ანდროპოვს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ა. გრომიკოს, ა. პ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, დ. ა. კუნაევს, ა. ი. პელშეს, გ. ვ. რომანოვს, მ. ა. სუსლოვს, დ. თ. უსტინოვს, კ. უ. ჩერნენკოს, ვ. ვ. შჩერბიცკის, გ. ა. ალიევს, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ვ. კუზნეცოვს, პ. მ. მაშეროვს, ბ. ნ. პონომარიოვს, შ. რ. რაშიდოვს, მ. ს. სოლომენცევს, ნ. ა. ტიხონოვს, ე. ა. შევარდნაძეს, ი. ვ. კაპიტონოვს, ვ. ი. დოლგიხს, მ. ვ. ზიმიანინს, ი. პ. რიაბოვს, კ. ვ. რუსაკოვს, მ. ს. გორბაჩოვს.

დეპუტატებმა ერთხმად დაამტკიცეს სესიის დღის წესრიგი, აგრეთვე მისი მუშაობის წესი.

სესიის დღის წესრიგში დგას შემდეგი საკითხები:

1. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეთა არჩევა ყირგიზეთის სს რესპუბლიკისა და ესტონეთის სს რესპუბლიკისაგან.

2. სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის სახელმწიფო გეგმა და სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1978 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობა.

3. სსრ კავშირის 1979 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და სსრ კავშირის 1977 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება.

4. სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტი.

5. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება. (საქინფორმი).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 234 (6289)

1978 წ. 30 ნოემბერი ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



მთავარი გამოცდა — სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა

# სპარტაკიადა ტემპს იღებს

სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ფინალური სტარტების დაწყებამდე 8 თვე დარჩა, მაგრამ უკვე ცნობილია შეჯიბრების ლიდერები — რსფსრ-ის, უკრაინის, მოსკოვის, ბელორუსიისა და ლენინგრადის ნაკრებები. ამ რესპუბლიკებისა და ქალაქების სპორტსმენები 1977 წლის II საკავშირო ახალგაზრდული თამაშებისა და მოსწავლეთა XV სპარტაკიადის შედეგების მიხედვით შედგენილი წინასწარი ცხრილის სათავეში არიან.

— სპარტაკიადამ, რომელიც ჯერ კიდევ შარშან დაიწყო, ააჩქეფა ქვეყნის სპორტული ცხოვრება, განამტკიცა ფიზკულტურის კოლექტივები, ხელი შეუწყო ქვეყნის ყველაზე შორეულ კუთხეებში, განსაკუთრებით ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონებში მუშაობის გამოცოცხლებას, — საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა VII სპარტაკიადის მთავარმა მსაჯმა **ა. კოლესოვმა**.

— სპარტაკიადა მრავალსახოვანია, — განაგრძო მან. — ეს არის მატჩი საამქროს ორ გუნდს შორის, პირველობა სასკოლო ან სტუდენტთა სპორტულ კოლექტივებს შორის და სოფლის სპორტსმენთა სტარტები. ამასთან ამ ასპარეზობებისათვის მზადებისას შენდება და კეთილმოწყობილი ხდება სპორტული ნაგებობები — როგორც მარტივი ტიპის სათამაშო მოედნები, ისე თანამედროვე სტადიონები, სპორტული კომპლექსები და აუზები.

ტრადიციის მიხედვით ფინალურ სტარტებს წინ უძღოდა ახალგაზრდობის საკავშირო სპორტული თამაშები და სასკოლო სპარტაკიადები, რომლებშიც პერსპექტიული სპორტსმენები გამოვლინდნენ.

მაგალითად, სასკოლო სპარტაკიადა მიმდინარეობდა დევიზით: „ოლიმპიელები ჩვენს შორის". სხვადასხვა შიდასასკოლო შეჯიბრებაში 30 მილიონამდე მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა, ხოლო დასკვნით სტარტებზე 1600 სპორტის ოსტატი და ოსტატობის კანდიდატი გამოვიდა. ეს შეჯიბრებისთვის გულმოდგინე მზადების კარგი მაჩვენებელია. ამასთან შეიმჩნევა, რომ ჩამორჩენილები ცდილობენ მიუახლოვდნენ ლიდერებს. ასე მაგალითად, ჩემპიონთა და პრიზიორთა ტიტულები მოიპოვეს ყველა — 17 დელეგაციის წარმომადგენლებმა.

ამგვარად, VII საკავშირო ტემპს იღებს. ბევრ მოკავშირე რესპუბლიკაში უკვე დამთავრდა სპარტაკიადები. საკავშირო სპარტაკიადის შტაბში შემოსული ცნობების მიხედვით, მათი გრანდიოზულობა შთამბეჭდავია. მაგალითად, ბელორუსიაში სხვადასხვა ეტაპების სტარტებზე 2,5 მილიონი მონაწილე გამოვიდა. მათ შორის ათასობით ფიზკულტურელი გახდა მშრ კომპლექსის ნიშნოსანი.

ლიტვაში 3 თვეს გაგრძელდა სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები სპორტის 29 სახეობაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სამი ათასზე მეტმა მონაწილემ. მათგან 40-მა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის შედეგი აჩვენა, ხოლო ათასმა სპორტის ოსტატისა და ოსტატობის კანდიდატის ზღვარს გადააჭარბა. მნიშვნელოვანი შეხვედრები მოეწყო არა მარტო ვილნიუსის სპორტულ ბაზებზე, არამედ კაუნასსა და კლაიპედაში, პანევეჟისსა და შიაულიაში.

ოთხ თვეს გაგრძელდა ესტონეთში სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები, რომელშიც სპორტსმენთა სარეკორდო რაოდენობა — 3215 კაცი მონაწილეობდა, ხოლო სულ შესარჩევ ეტაპებში სტარტი აიღო ორ მილიონამდე ფიზკულტურელმა. დასასრულს უახლოვდება რსფსრ-ისა და მოსკოვის სპარტაკიადები. მოსკოვის სპორტსმენებმა უკვე გაითამაშეს მედლები სპორტის 24 სახეობაში. დეკემბერში დაიწყება შეჯიბრებები კალათბურთსა და ფარიკაობაში. დედაქალაქის სპარტაკიადა დამთავრდება აპრილში ფრენბურთელთა და ხელბურთელთა ტურნირით. ზაფხულის სპარტაკიადა ზამთარშიც არ ანელებს ტემპს.

მომავალ წელს ქვეყნის ყველა ფიზკულტურული კოლექტივის ამოცანაა გააგრძელოს პირველი ეტაპის სტარტები, ხოლო უძლიერესებისთვის ზაფხულში დადგება ყველაზე საპასუხისმგებლო პერიოდი.

**მთავარ მსაჯთა კოლეგიამ ფინალურ პროგრამაში ცვლილებები შეიტანა და დააზუსტა იგი. სპარტაკიადის საზეიმო გახსნა გაიმართება 1979 წლის 21 ივლისს მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე. იქვე 5 აგვისტოს მოეწყობა დახურვის ცერემონიალი, მაგრამ შეჯიბრებები უფრო ადრე დაიწყება. 7 ივლისს რიგის კორტებზე მედლებისთვის ბრძოლაში პირველები ჩოგბურთელები ჩაებმებიან. VII სპარტაკიადის პროგრამაში სულ სპორტის 30 სახეობაა. ამასთან პირველადაა შეტანილი ოლიმპიური სახეობა — ბალახის ჰოკეი. სპარტაკიადის პროგრამაშია, აგრეთვე, ჭიდაობა, სამბო, ჩოგბურთი, ჭადრაკი და პირველად — მხატვრული ტანვარჯიში.**

**შეჯიბრებები სპორტის 24 სახეობაში გაიმართება მოსკოვში, ძირითადად იმ სპორტულ ბაზებზე, რომლებიც 1980 წელს ოლიმპიურ ბატალიებს უმასპინძლებენ. ბალახის ჰოკეისტთა ტურნირი ლენინგრადში გაიმართება, ხელბურთელები და ფრენბურთელები კიევში იასპარეზებენ, ფეხბურთელები — მინსკში, კალათბურთელები — ვილნიუსში, კაუნასში, ალიტუსსა და პანევეჟისში, აფროსნები — ტალინში, ველოტრეკზე მრბოლელები — ლვოვში.**

ოლიმპიური დისციპლინების ფინალურ სტარტებში მოსალოდნელია 100 ქვეყნის 2 ათასამდე სპორტსმენის მონაწილეობა. ამიტომ სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ასეთი რანგის შეჯიბრებათა შორის. თანაც ახლოვდება „ოლიმპიადა-80", რომლის ორგანიზება პირველად მიენდო მოსკოვს — სოციალისტური სახელმწიფოს დედაქალაქს. (საქინფორმი).

## სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის 43-ე კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტის

# პირველი სხდომა

**მოსკოვში** გაიმართა სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის 43-ე კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტის პირველი სხდომა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ამ კომიტეტის თავმჯდომარე, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ა. კოსტენკო.

მსოფლიოს ყველა ქვეყნის სპორტული ჟურნალისტები შეიკრიბებიან 1979 წლის მაისის ბოლოს მოსკოვში სსრ კავშირის ხალხთა VII საზაფხულო სპარტაკიადის წინ, რათა განიხილონ აიპს-ის (სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაცია) მუშაობის შედეგები, დასახონ მომავლის გეგმები.

სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ აიპს-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" მთავარი რედაქტორი ნ. კისელიოვი და სსრ კავშირის სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი ა. ლეიკინი. მათ შეკრებილთ მოუთხრეს ახლახან სპლიტში (იუგოსლავია) გამართული 42-ე კონგრესის ჩატარების გამოცდილებაზე.

საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაზე, რომელზეც განიხილეს მოსკოვის კონგრესის ორგანიზაციის სხვადასხვა ასპექტი და დასახეს ღონისძიებათა კონკრეტული გეგმა, სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ივონინი.

ჭადრაკი

# დიდი ფორუმი

1 დეკემბერს თბილისში, ჭადრაკის სასახლეში საზეიმოდ გაიხსნება სსრ კავშირის ვაჟთა 46-ე ჩემპიონატი (უმაღლესი ლიგა).

თბილისელთა თითქმის ყველა სტუმარი ცნობილი მოჭადრაკეა — ბრძოლაში ჩაებმება 16 დიდოსტატი და 2 ოსტატი. ყველა მათგანმა ჩემპიონატის საგზური შესარჩევ ტურნირებში მოიპოვა.

ვის ვნახავთ ჭადრაკის სასახლეში? მსოფლიოს ექს-ჩემპიონებს ტ. პეტროსიანსა და მ. ტალს, სსრ კავშირის შარშანდელ ჩემპიონებს ბ. გულკოსა და ი. დორფმანს, პრეტენდენტთა მატჩების მონაწილეებს ე. გელერსა და ლ. პოლუგაევსკის, ახალგაზრდა დიდოსტატებს ა. ბელიავსკის, ა. მიხალჩიშინს და სხვებს.

ინტერესს იწვევს 15 წლის გ. კასპაროვის მონაწილეობა. ბაქოელი ჭაბუკი პირველად შეხვდება ცნობილ მოჭადრაკეებს. ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატში ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ კასპაროვის ტოლ მოჭადრაკეს ეთამაშოს, მაგრამ მან ამის უფლება მოიპოვა წლეულს ზაფხულში, როცა დაუგავპილსში საკავშირო მასობრივი შესარჩევი ტურნირის 64 მონაწილეთა შორის I ადგილი დაიკავა. ჭაბუკი მოჭადრაკისგან მისი მწვრთნელი-კონსულტანტი მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ბოტვინიკი თვალსაჩინო წარმატებას მოელის.

თბილისელთაგან ჩემპიონატში ვიხილავთ საერთაშორისო დიდოსტატ თამაზ გიორგაძეს, რომელიც პირველად ითამაშებს უმაღლესი ლიგის ტურნირში. მაგრამ ქართველ მოჭადრაკეთათვის უცხო როდია ჩემპიონატის მასპინძლობა და მასში მონაწილეობა.

ადრე თბილისმა 1937 წელს უმასპინძლა სსრ კავშირის X ჩემპიონატს. მასში ჩვენგან მონაწილეობდნენ ოსტატი ვ. გოგლიძე და ა. ებრალიძე. მეორედ თბილისში მსგავსი ფორუმი 22 წლის შემდეგ გაიმართა — 1959 წელს. ეს იყო XXVI ჩემპიონატი, რომელშიც მასპინძელთაგან მონაწილეობდა ბ. გურგენიძე. ამ ტურნირში ჩემპიონის ოქროს მედალი პირველად მოიპოვა ტ. პეტროსიანმა (მერე იგი კიდევ სამჯერ გახდა ჩემპიონი). შემდეგ თბილისში საასპარეზოდ რჩეული მოჭადრაკეები 1966 წლის მიწურულს ჩამოვიდნენ. მაშინ, რიგით XXXIV ჩემპიონატში მასპინძელთაგან კვლავ ბ. გურგენიძე იბრძოდა.

46-ე ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა (თავმჯდომარე ს. რიგვავა) ყველაფერი იღონა, რომ დიდი ასპარეზობა შესაფერ დონეზე ჩატარდეს. შეჯიბრების პერიოდში დაისტამბება სპეციალური ბიულეტენები, გამოვა ჩემპიონატის პროგრამაც. მოსალოდნელია მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის ა. კარპოვის სტუმრობა.

დიდ შეჯიბრების მსაჯთა კოლეგიას უთავკაცებს საერთაშორისო ოსტატი და არბიტრი ვ. მიკენასი (ვილნიუსი).

**თ. გიორგაძე.**

# საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში

**გუშინწინ** გაიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სხდომა, რომელზეც იმსჯელეს ამ ყველაზე მასობრივი და პოპულარული სპორტული თამაშის მდგომარეობის შესახებ. ინფორმაციით გამოვიდა ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ სოფლის მშენებლობის მინისტრი **ი. ხარატიშვილი.** შემდეგ გაიმართა კამათი.

სხდომაზე მთელი გულახდილობით ითქვა, რომ ქართული ფეხბურთის დიდ გამარჯვებასთან — თბილისის „დინამოს" მიერ ჩემპიონის ოქროს მედლების მოპოვებასთან ერთად, ჩვენს საფეხბურთო მეურნეობაში მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებები გვავაჩნია. კერძოდ ფეხბურთის მოედნების რაოდენობრივი და ხარისხობრივი უქმარისობა, მსაჯების არაობიექტურობა და დაბალი კვალიფიკაცია, გუნდების ასაკგადაცილებული ფეხბურთელებით დაკომპლექტება და ა. შ.

**გადაწყდა, რომ მომავალი წლის თებერვლის მეორე ნახევარში თბილისში მოწვეული იქნას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აქტივის გაფართოებული კრება.**

**ამასთან დაკავშირებით ფედერაცია თხოვნით მიმართავს ფეხბურთის სპეციალისტებს — მწვრთნელებს, მსაჯებს, ვეტერანებს, ფეხბურთის მოყვარულებს — წარმოადგინონ თავიანთი წინადადებანი, შენიშვნები და მოსაზრებები რესპუბლიკაში ფეხბურთის განვითარების თაობაზე, რაც გათვალისწინებული იქნება ფედერაციის შემდგომ მუშაობაში.**

**მეგობრებო, თქვენი წერილები გამოგზავნეთ 1979 წლის 1 თებერვლამდე მისამართით: თბილისი, ლესელიძის ქ. № 86, საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.**

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარული შეხვედრები.

## I ჯგუფი

**„დურუჯი“ (ყვარელი) — „ნადიკვარი“ (თელავი) 1:1. მსაჯი ა. მჭედლიძე (თბილისი).**

მასპინძლები დაწინაურდნენ 37-ე წუთზე (კირიაევი), ხოლო შესვენების შემდეგ გერგიშვილმა გაათანაბრა ანგარიში.

**„ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:1. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).**

პირველი ბურთი გატანილი იქნა მასპინძელთა კარში აკოფიანის მიერ. წონასწორობა აღადგინა მგელაძემ.

**„ნადიკვარი“ (თელავი) — ასკ (თბილისი) 0:0. მსაჯი გ. შავგულიძე (რუსთავი).**

ამ მატჩში თელაველთა მეკარემ შამიაშვილმა და მისმა არმიელმა კოლეგამ ბელქანიამ მოიგერიეს 11-მეტრიანი დარტყმები.

**„კოლხეთი“ (ფოთი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 3:3. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).**

ფოთელი ფეხბურთელები ჩემპიონთა როლში გამოდიოდნენ და ტაიმიც შესაბამისი წარმატებით დაამთავრეს — 3:0 (გვალია, თ. ტყებუჩავა, სანაია). შესვენების შემდეგ „კოლხეთში“ მოხდა რამდენიმე ცვლილება, რის შემდეგ უპირატესობა მახარაძელებმა აიღეს ხელთ. გუჯაბიძემ (2) და ხავთასმა გაათანაბრეს ანგარიში.

**„კოლხეთი“ (ხობი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 0:1. მსაჯი გ. ხეფიაშვილი (თბილისი).**

ხობელმა ფეხბურთელებმა აღნიშნული შეხვედრა ყოველგვარი მონდომების გარეშე, უსისტემოდ ჩაატარეს. ბურთი მათს კარში გაიტანა დანელიამ.

**„ჩიხურა“ (საჩხერე) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 4:3. მსაჯი ა. აფრიდონიძე (ქუთაისი).**

**„მეშახტე“ (ტყიბული) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 0:0. მსაჯი გ. მიქაუტაძე (ქუთაისი).**

**„მალაროელი“ (ჭიათურა) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 1:2. მსაჯი მ. კობიაშვილი (გორი).**

ანგარიში 55-ე წუთზე გახსნა ჭიათურელმა გურულმა, მაგრამ მასპინძელთა წარმატება ამით ამოიწურა. საპასუხო ბურთი გაიტანა ნიკოლაიშვილმა, ხოლო მატჩის მიწურულს ბალათურიამ მეორედ აიღო „მალაროელის“ კარი.

**„სპარტაკი“ (თბილისი) — ასკ (თბილისი) 3:3. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).**

არმიელთა მხრივ ბურთები გაიტანეს რამიშვილმა, ჩაბაშვილმა (პენალტი) და ხვიჩიამ. „სპარტაკის“ მიერ გატანილი ბურთები ეკუთვნით ადუაშვილს, ამფოიანს და რაზმაძეს.

## გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 29 ნოემბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლხეთი“ ფ. | 44 | 28 | 10 | 6 | 105—44 | 66 |
| „მეშახტე“ | 44 | 25 | 13 | 6 | 70—35 | 63 |
| „მეტალ.“ რ. | 44 | 27 | 7 | 10 | 71—39 | 61 |
| „მზიური“ | 44 | 23 | 10 | 11 | 76—48 | 56 |
| „მაღაროელი“ | 44 | 20 | 10 | 14 | 78—66 | 50 |
| „მერცხალი“ | 44 | 18 | 13 | 13 | 58—48 | 49 |
| „ენერგეტ.“ | 44 | 18 | 11 | 15 | 57—47 | 47 |
| „კოლხეთი“ ხ. | 44 | 17 | 12 | 15 | 45—46 | 46 |
| ასკ თბ. | 44 | 15 | 15 | 14 | 46—43 | 45 |
| „სალხინო“ | 44 | 16 | 12 | 16 | 60—77 | 44 |
| „ნადიკვარი“ | 44 | 14 | 15 | 15 | 57—55 | 43 |
| „ამირანი“ | 44 | 17 | 9 | 18 | 45—61 | 43 |
| ფიზკ. ინსტ. | 44 | 17 | 8 | 19 | 57—69 | 42 |
| „ივერია“ | 44 | 15 | 11 | 18 | 33—48 | 41 |
| „მეტალ.“ ზ. | 44 | 14 | 12 | 18 | 64—72 | 40 |
| „სპარტ.“ თბ. | 42 | 16 | 8 | 18 | 49—58 | 40 |
| „სპარტ.“ ც. | 43 | 15 | 9 | 19 | 65—67 | 39 |
| „ეგრისი“ | 43 | 13 | 13 | 17 | 44—58 | 39 |
| „სქური“ | 43 | 15 | 8 | 20 | 54—62 | 38 |
| პოლ. ინსტ. | 41 | 15 | 5 | 21 | 60—63 | 35 |
| „ჩიხურა“ | 44 | 13 | 9 | 22 | 63—70 | 35 |
| „დურუჯი“ | 44 | 12 | 5 | 27 | 33—66 | 29 |

# საქართველოს პირველობა

## II ჯგუფი

### I ზონა

ბოლნისის „სიონთან“ სათამაშოდ არ გამოცხადდა წალკის „თრიალეთი“, რის გამოც ბოლნისელებს ჩაეთვალათ 2 ქულა. „სიონმა“ თავის ზონაში დაიკავა პირველი ადგილი და მომავალ წელს ითამაშებს I ჯგუფის გუნდებს შორის (მწვრთნელი ა. გიგინეიშვილი).

„განთიადი“ (თბილისი) — „იორი“ (თიანეთი) 4:1, „არაგვი“ (მცხეთა) — „მესხეთი“ (ახალციხე) 0:1, „განთიადი“ (თბილისი) — „გარისი“ (თეთრი წყარო) 2:0, „ქართლი“ (გორის რაიონი) — „ტაქსომოტორი“ № 3 (თბილისი) 4:5, „ფიჩხოვანი“ (ახმეტა) — „ცისკარი“ (სიღნაღი) 3:1, „გიგანტი“ (გამარჯვება) — „არაგვი“ (მცხეთა) 3:3.

### I ზონა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სიონი“ | 36 | 29 | 3 | 4 | 101—41 | 61 |
| „ტაქ.“ № 3 თბ. | 36 | 27 | 5 | 4 | 78—28 | 59 |
| „მესხეთი“ | 36 | 28 | 3 | 5 | 79—36 | 59 |
| „ვარძია“ | 35 | 20 | 8 | 7 | 68—39 | 48 |
| „ალაზანი“ | 35 | 16 | 8 | 11 | 84—61 | 40 |
| „განახლება“ | 36 | 16 | 8 | 12 | 64—52 | 40 |
| „აბული“ | 36 | 18 | 4 | 14 | 44—44 | 40 |
| „განთიადი“ | 36 | 14 | 10 | 12 | 87—48 | 38 |
| „ქართლი“ | 36 | 14 | 6 | 16 | 88—64 | 34 |
| „გარეჯი“ | 36 | 13 | 7 | 16 | 51—53 | 33 |
| „იორი“ | 36 | 15 | 3 | 18 | 70—78 | 33 |
| „ფიჩხოვანი“ | 36 | 12 | 7 | 17 | 51—68 | 31 |
| „გარისი“ | 36 | 10 | 7 | 19 | 56—75 | 27 |
| „არაგვი“ | 36 | 8 | 10 | 18 | 54—60 | 26 |
| „ჭერეთი“ | 36 | 10 | 6 | 20 | 45—88 | 26 |
| „თრიალეთი“ | 36 | 9 | 5 | 22 | 42—68 | 23 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ბახტრიონი“ | 35 | 5 | 13 | 17 | 33—59 | 23 |
| „ცისკარი“ | 36 | 7 | 8 | 21 | 45—101 | 22 |
| „გამარჯ.“ | 35 | 4 | 9 | 22 | 55—132 | 17 |

### II ზონა

„გიგანტი“ (ლაითური) — „შახტიორი“ (ტყვარჩელი) 3:1, „მექალალდე“ (ზუგდიდი) — „ავტომობილისტი“ (მაიაკოვსკი) 5:1, „სულორი“ (ვანი) — „ნარუჯა“ (მახარაძე) 8:0.

**მდგომარეობა 29 ნოემბრისთვის**

### II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სულორი“ | 32 | 26 | 3 | 3 | 91—33 | 55 |
| „იმერეთი“ | 31 | 25 | 5 | 1 | 73—25 | 55 |
| „შუქურა“ | 30 | 23 | 5 | 2 | 61—17 | 51 |
| „ბახმარო“ | 30 | 17 | 9 | 4 | 71—35 | 43 |
| „ჩაპომსხმ.“ | 32 | 14 | 7 | 11 | 53—43 | 35 |
| „მექალალ.“ | 32 | 15 | 2 | 15 | 55—42 | 32 |
| „ავტომ.“ ა. | 31 | 10 | 8 | 13 | 33—34 | 28 |
| „ნაკად.“ | 32 | 10 | 7 | 15 | 54—57 | 27 |
| „შახტ.“ | 32 | 12 | 3 | 17 | 35—50 | 27 |
| „გიგანტი“ | 32 | 9 | 8 | 15 | 44—61 | 26 |
| „ავტომ.“ ბ. | 32 | 9 | 7 | 16 | 43—58 | 25 |
| „ნარუჯა“ | 32 | 8 | 8 | 16 | 23—58 | 24 |
| „სამგურ.“ | 32 | 6 | 11 | 15 | 22—43 | 23 |
| „ოჯალეში“ | 32 | 9 | 5 | 18 | 39—64 | 23 |
| „სენაკი“ | 31 | 7 | 8 | 16 | 47—57 | 22 |
| „მეშაქრე“ | 31 | 6 | 10 | 15 | 39—66 | 22 |
| „ავტომ.“ მ. | 32 | 7 | 4 | 21 | 43—73 | 18 |

## ზონალური პირველობა

ჩაის საბჭოთა მეურნეობა (ჩაქვი) — „ლესიჭინე“ (ჩხოროწყუ) 1:0, „ალგეთი“ (მარნეული) — „მადნეული“ (ბოლნისი) 6:0, ჩაის საბჭოთა მეურნეობა (ჩაქვი) — „ღრმაღელე“ (ლანჩხუთი) 3:2, „ალგეთი“ (მარნეული) — „ლესიჭინე“ (ჩხოროწყუ) 4:1, „მადნეული“ (ბოლნისი) — „ბაზალტი“ (ბოლნისი) 2:1, „მადნეული“ (ბოლნისი) — „ლესიჭინე“ (ჩხოროწყუ) 2:0.

## ზონალური პირველობის ფინალური ჯგუფი.

**მდგომარეობა 29 ნოემბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მადნეული“ | 9 | 5 | 1 | 3 | 17—17 | 11 |
| „ალგეთი“ | 8 | 4 | 1 | 3 | 19—15 | 9 |
| „ნაკადული“ | 9 | 4 | 1 | 4 | 16—15 | 9 |
| „ნარინჯი“ | 7 | 4 | 0 | 3 | 16—11 | 8 |
| „ბაზალტი“ | 7 | 1 | 3 | 3 | 8—12 | 5 |
| „ღრმაღელე“ | 6 | 1 | 2 | 3 | 9—15 | 4 |

• • •

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რესპუბლიკური ჩემპიონატის ამ ტურში რამდენიმე გუნდი არ გამოცხადდა სათამაშოდ, რისთვისაც მათ ჩაეთვალათ წაგებები. I ჯგუფში ცხინვალის „სპარტაკთან“ სათამაშოდ არ გამოცხადდა ზესტაფონის „მეტალურგი“, რუსთავის „მეტალურგთან“ — ხაშურის „ივერია“, წალენჯიხის „სქურთან“ — ყვარლის „დურუჯი“, II ჯგუფში ლაგოდეხის „ჭერეთს“ გამარჯვებები ჩაეთვალა თეთრი წყაროს „გარისთან“ და თიანეთის „იორთან“, ადიგენის „განახლებას“ — ახალქალაქის „აბულთან“, საგარეჯოს „გარეჯს“ — ახმეტის „ბახტრიონთან“, II ჯგუფში — ლაითურის „გიგანტს“ — წყალტუბოს „სამგურალთან“, ტყვარჩელის „შახტიორს“ — ბათუმის „ავტომობილისტთან“, წულუკიძის „იმერეთს“ — ბორჯომის „ჩამომსხმელთან“. უნდა ითქვას ისიც, რომ მიმდინარე სეზონში მეორე გამოუცხადებლობა აქვთ თიანეთის „იორს“, თეთრი წყაროს „გარისს“, ახალქალაქის „აბულს“, ახმეტის „ბახტრიონს“, წალკის „თრიალეთს“ და წყალტუბოს „სამგურალს“. ზემოაღნიშნულ ყოვლად დაუშვებელ მოვლენას საგანგებოდ განიხილავს საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.

## საჯარიმო დარტყმა

**მეტოქე ფეხბურთელის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის მინდვრიდან გაძევებულია მცხეთის „არაგვის“ მოთამაშე ი. ბარბაქაძე.**

**მეორე გაფრთხილება მიიღეს თ. ქირიამ („ეგრისი“, ცხაკაია) და ვ. ლოლაძემ („მაღაროელი“, ჭიათურა).**

**გაფრთხილებები მიიღეს: ფ. გოცირიძემ („კოლხეთი“, ხობი), თ. სურამანიძემ (ჩაის საბჭოთა მეურნეობა, ჩაქვი), მ. ბლაგიძემ („ღრმაღელე“, ლანჩხუთი), ზ. ჩიტაურმა („მესხეთი“, ახალციხე).**

**საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.**



განვლილ ზაფხულს პრაღაში შედგა საინტერესო საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს შორის. დაძაბული ბრძოლა მოიგეს გერმანელებმა ანგარიშით 4:3.

სურათზე: თამაშის მომენტი.

# ფეხბურთი

## კაპელის აზრით

— 1980 წლის ევროპის ჩემპიონატი ყველაზე დაძაბული და საინტერესო იქნება. უპირველეს ფავორიტებად მიმაჩნია ინგლისის, ჰოლანდიისა და ავსტრიის ნაკრები გუნდები. რაც შეეხება ამ ტურნირის მასპინძლებს — იტალიელებს, მათ დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ფიზიკურ მომზადებას, თორემ გამეორდება იგივე, რაც არგენტინაში მოხდა, — განაცხადა ცნობილმა ავსტრიელმა მწვრთნელმა ე. ჰაპელმა.

## ინგლისი

მიმდინარე ჩემპიონატში ინგლისში გამოიყოფა „დიდი კვარტეტი“ — „ლივერპული“, ამავე ქალაქის „ევერტონი“, „ნოტინჰემ ფორესტი“ და „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“. ბრძოლა საპრიზო ადგილებისთვის ჯერჯერობით მხოლოდ მათ შორის მიმდინარეობს.

XV ტურში „ლივერპულმა“ მიიღო „მანჩესტერ სიტი“ და კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმა — 1:0. ეს გოლი თამაშის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე იქნა გატანილი საჯარიმო დარტყმით. ფრედ (2:2) დასრულდა დაძაბული მატჩი ლონდონში „არსენალსა“ და „ევერტონს“ შორის.

უკვე ერთი წელია კალენდარული მატჩი არ წაუგია „ნოტინჰემ ფორესტს“, მაგრამ მისმა ახალმა ფრემ (0:0) საკუთარ მინდორზე ლონდონის „ქუინზ პარკ რეინჯერსთან“ ჩემპიონის გულშემატკივართა იმედის გაცრუება გამოიწვია.

ტურის დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „ასტონ ვილა“ — „ბრისტოლ სიტი“ 2:0, „ბოლტონ უონდერერსი“ — „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ 0:1, „ჩელსი“ — „ტოტენჰემ ჰოტსპური“ 1:3, „დერბი ქაუნთი“ — „ბირმინჰემ სიტი“ 1:0, „მანჩესტერ იუნაიტედი“ — „იფსვიჩ თაუნი“ 2:0, „მიდლსბრო“ — „საუთჰემპტონი 2:0, „ნორვიჩ სიტი“ — „კოვენტრი სიტი“ 1:0, „ვულვერჰემპტონ უონდერერსი“ — „ლიდს იუნაიტედი“ 1:1.

15 ტურის შემდეგ 26 ქულით მტკიცედ ლიდერობს „ლივერპული“. 23 ქულა აქვს „ევერტონს“, 22 — „ვესტ ბრომვიჩ ალბიონს“, 21 — „ნოტინჰემ ფორესტს“.

## ესპანეთი

მადრიდის „რეალმა“ X ტურში საკუთარ მინდორზე სძლია ხიხონის „სპორტინგს“ (3:2) და კვლავინდებურად ლიდერობს. მას 16 ქულა აქვს. ტურის სარეკორდო შედეგი — 6:0 აღინიშნა ბარსელონაში, სადაც „ბარსელონამ“ მოუგო ვიგოს „სელტას“. ახლა „ბარსელონას“ 13 ქულა აქვს და II ადგილზეა. ბილბაოს „ატლეტიკო“, რომელიც აქამდე II ადგილზე იყო, საკუთარ მინდორზე მოულოდნელად დამარცხდა (1:2) „ბურგოსთან“. მას ასევე 13 ქულა აქვს. მადრიდის „ატლეტიკომ“ ფრედ (1:1) ითამაშა სანტანდერში ადგილობრივ „რესინგთან“ და 11 ქულით IV ადგილზეა.

# ჩემპიონატები, მატჩები, ტურნირები

## აკადემია ფართოვდება

**ვარშავაში** ფიზიკური კულტურის ... 50 წლისთავი. ეს უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც ყოველწლიურად ასობით სპორტის სპეციალისტს უშვებს, ახალ შენობაში გადავიდა. 25 ჰექტარ ტერიტორიაზე ახალ აუდიტორიებთან ერთად არის მძლეოსნური სტადიონი ტარტანის საფარით, 2 სპორტული დარბაზი, სპორტთამაშობათა მოედნები, საცურაო აუზი. დაგეგმილია ხელოვნური საციგურაოს, 1000-ადგილიანი სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მშენებლობა.

## ბულგარეთის ფიზკულტურა 100 წლისაა

**სოფია.** ბულგარეთის ორგანიზებულ ფიზკულტურულ მოძრაობას 100 წელი შეუსრულდა. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ამ ქვეყანაში ახალი გზით განვითარდა ფიზკულტურული მოძრაობა, რომელიც ახლა ახალგაზრდობის ფიზიკური და კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას ემსახურება. სახალხო ხელისუფლების წლებში ბულგარელმა სპორტსმენებმა ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიო და ევროპულ ჩემპიონატებში მოიხვეჭეს 741 მედალი, რომელთაგან 178 ოქროსია.

# ციგაობა

## რიგელი სპორტსმენების წარმატება

**ბავარიის** ქალაქ კენიგზეეს ტრასაზე დამთავრდა მოციგავეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც წარმატებით გამოვიდნენ ... გელი მსოფლიოს ჩემპიონები დ. ბრიომზე და ა. კრიკისი — ორადგილიანებით დაშვებაში პირველობა მოიგეს. II ადგილზეც საბჭოთა მოციგავეები, მოსკოველები ვ. შიტოვი და ვ. იაკუშინი გავიდნენ, ხოლო მესამეზე — გდრ-ის სპორტსმენები — ობერჰოფნერი და ლუდვიგი.

ქალთა შეჯიბრებაში მსოფლიო ჩემპიონი ვ. ზოზულია (რიგა) III ადგილს დასჯერდა, ხოლო მისი თანაქალაქელი ა. რიბენე ფინიშთან მეოთხე მივიდა. პირველობა მოიგო მსოფლიო ექს-ჩემპიონმა მ. შუმანმა (გდრ).

ვაჟთა შორის ერთადგილიანი ციგებით შეჯიბრებაში ყველა საპრიზო ადგილი გდრ-ის სპორტსმენებს ერგოთ. პირველი იყო გ. რინი.

# „სპორტლოტო“

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს“ „6-49-დან“ და “5-36-დან“ 47-ე ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 5-36-დან“.**

პირველ გათამაშებაში 5 ამოცნობილი ნომრისთვის მოგება 7459 მანეთია, ოთხისთვის — 80 მან; სამისთვის — 4 მან.

მეორე გათამაშებაში ისინი, ვინც 5 ნომერი ამოიცნეს მიიღებენ 10000 მანეთს, ოთხის ამომცნობი — 219 მან; სამისა — 6 მან.

**„სპორტლოტო 6-49-დან“.**

პირველ გათამაშებაში ხუთი პლიუს ერთი ნომრის ამოცნობისთვის მოგება 5222 მანეთია; ხუთი ნომრის ამოცნობისათვის — 4222 მან, ოთხი პლიუს ერთი ნომრის ამოცნობისთვის — 128 მან, ოთხი ნომრისთვის —103 მან, სამისთვის — 4 მან.

მეორე გათამაშება. ხუთი პლიუს ერთი ნომრის ამოცნობისთვის მოგება 7069 მან, ოთხი პლიუს ერთი ნომრის ამოცნობისთვის — 118 მან, ოთხისთვის — 93 მან; სამისთვის — 5 მან.

„სპორტლოტოს“ 47-ე ტირაჟებში მოგებული თანხის გაცემა იწარმოებს 1978 წლის 6 დეკემბრიდან 1979 წლის 6 იანვრის ჩათვლით.

**რედაქტორი ა. ბასილაია.**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის — 93-97-53; ქადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.
ИНДЕКС 66135 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02315